ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2014 წლის 22 აგვისტო

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნტის, 24-ე მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის N286 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 2 ნოემბრის N26 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი)
1.	გამგებელი	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
4.	გამგებლის პირველი მოადგილე	1400
5.	გამგებლის მოადგილე	1300
6.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
7.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
8.	გამგეობის სამსახურის უფროსი	1000

9.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
10.	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
11.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	790
12.	გამგებლის თანაშემწე	790
13.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	790
14.	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	790
15.	მთავარი სპეციალისტი	560
16.	წამყვანი სპეციალისტი	530
17.	უფროსი სპეციალისტი	500
18.	სპეციალისტი	470
19.	დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	530
20.	სხვა დამხმარე მოსამსახურე	470